ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 3 იანვარი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-სთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №56 განკარგულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კომუნალური მომსახურების ცენტრს“ დაევალოს:

ა) მოახდინოს მუნიციპალიტეტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის (ქუჩების გარე განათებების) ხარჯის აღწერა შედარების აქტის საფუძველზე ყოველი თვის 1-ლი რიცხვიდან 5 რიცხვამდე;

ბ) არაუგვიანეს ყოველი თვის 10 რიცხვისა შედარების აქტი წარუდგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ცენტრში გამოყოს თანამშრომელთა სპეციალური ჯგუფი, რომლებიც შეასრულებს მითითებულ დავალებებს;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer